ბრძანება:№28. 28233345
თარიღი:30/11/2023

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმის დამტკიცებისა და სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა“ პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის ,,პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ'' N199 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაიწყოს მერიის რეორგანიზაციის მეორე ეტაპი, მერიის რეორგანიზაციისათვის აუცილებელი სამართლებრივი აქტების ცვლილებების მომზადება და ორგანიზაციული სტრუქტურის პროექტის შემუშავება.

2. შეიქმნას რეორგანიზაციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ლაშა ლანჩავა -ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი - სამუშაო თავმჯდომარე

ბ)მარეხი ლილუაშვილი - იურიდიული სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

გ) მზია ჭანტურიძე - საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი;

3. სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელდეს მერიის ახალი (მთლიანად ან ნაწილობრივ) სტრუქტურისა და მისგან გამომდინარე შესაბამისი სამართლებრივი აქტების (საშტატო ნუსხა, დებულებები და საჭიროების შემთხვევაში სხვა სამართლებრივი აქტები) საბოლოო პროექტების შემუშავება.

4. არაუგვიანეს ერთი თვისა სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელდეს:

ა) იმ პირთა განსაზღვრა, ვინც რეორგანიზაციის გამო, კომპეტენციის გათვალისწინებით, შეიძლება გადაყვანილ იქნეს სხვა პოზიციაზე;

ბ) იმ პირთა (მოხელეები/შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები) განსაზღვრა, ვინც შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან შტატების შემცირების გამო, ვისაც შეიძლება შეუწყდეს შრომითი ხელშეკრულებები ორგანიზაციული ცვლილებების გამო და უზრუნველყოს ამ პირთა გაფრთხილება

რეორგანიზაციის შესაძლო შედეგებთან დაკავშირებით;

5. მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პირების განსაზღვრისას, საჭიროებისას, სამუშაო ჯგუფმა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად უზრუნველყოს იმ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მონაწილეობა, სადაც არის დასაქმებული მოხელე;

6. რეორგანიზაციის მე-3 ეტაპი, მობილობა დაიწყოს არაუგვიანეს 30 დეკემბრიდან და ამ მიზნით სამუშაო ჯგუფმა მოამზადოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტი. სამუშაო ჯგუფმა არაუგვიანეს 30 დეკემბრე უზრუნველყოს მობილობას დაქვემდებარებულ პირთა შესახებ სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს წერილობითი ინფორმირება. მობილობა განხორციელდეს არაუგვიანეს 30 დეკემბრისა სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროსთან თანამშრომლობის საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

მანუჩარ რობაქიძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია-მერი